სსიპ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლა

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავდა მიზნად.

მიმართულება N1. პირველი მიმართულება ესაა სასკოლო მენეჯმენტის გაუმჯობესება, რათა სკოლის მომსახურება პასუხობდეს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს.

2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში მოხდა სკოლის ფუძემდებლური დოკუმენტების შემუშავება/დაზუსტება, კერძოდ სკოლის დირექციის ჩართულობით პედსაბჭომ შეიმუშავა სასკოლო სასწავლო გეგმა საგნობრივი კურიკულუმებით, შემუშავდა სკოლის საშტატო ერთეულების თანამდებობრივი აღწერილობები(აქამდე თანამდებობრივი მოვალეობები მხოლოდ ხელშეკრულებებით რეგულირდებოდა), შემუშავებულ იქნა ხარისხის მართვის დოკუმენტი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, რამაც საშუალება მისცა სკოლის ადმინისტრაციას უფრო გეგმაზომიერად წარემართა მისი საქმიანობა, ხოლო სკოლაში მიმდინარე პროცესები გეგმაზომიერი და დროში გაწერილი გახდა. სკოლასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ხელშეკრულებების გადახედვა კანონმდებლობასთან სესაბამისობის დადგენის მიზნით, რის შედეგადაც გაირკვა, რომ სკოლის პერსონალთან დადებულიხელშეკრულებები შეესაბამებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს, აგრეთვე მოხდა პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგება. გარკვეულწილად მოხდა ადმინისტრაცია-პერსონალის პროფესიული საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი ინტერვენციების ორგანიზება, კერძოდ ხაზინაში გადასვლასტან დაკავშირებით დაიგეგმა და განხორციელდა სკოლის ბუღალტრის გადამზადება, თუმცა გაწეული საქმიანობა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჯგუფმა არასაკმარისად შეაფასა, რადგან სკოლის პერსონალს კიდევ ბევრი მიმართულეით აქვს განვიტარების საჭიროება და ამ მიმართულებით სკოლის დირექციას გამოსანახი აქვს გზები, რადგან სკოლა დეფიციტურია და ფინანსების ნაკლებობას განიცდის.

მიმართულება N2. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება:

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამუშაოები ძირითადად შესრულდა. კერძოდ მოხდა პრობლემების იდენტიფიკაცია და პრიორიტეტების გამოკვეთა,რის საფუძველზეც მოხდა შესაბამისი სტრუქტურების(მუნიციპალიტეტის მერია და ინფრასტრუქტურა) ინფორმირება პრობლემური მიმართულებების შესახებ. შედეგად მოხდა ნაღობილევის დაწყებითი სკოლის შიდა სივრცის სრული რეაბილიტაცია და სკოლის გადახურვა, მერიას წარედგინა ხარჯთაღრიცხვა სკოლის გათბობის სისტემის მოსაწყობად. ნაკლებად წარმატებით წარიმართა სოფელ მერიაში განთავსებული სასწავლო კორპუსის პრობლემების გამოსწორების პროცესი, რის გამოც გეგმით განსაზღვრული აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა. ვერ მოხერხდა სკოლის ბუფეტის იჯარით გაცემა - აუქციონი რამდენჯერმე არ შედგა. გამოვლინდა ახალი საწიროებები, კერძოდ სახანძრო

უსაფრთხოების პირობების შემოწმებისას გამოვლნდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელთა გადაწყვეტა გარე ცარევას მოითხოვს. გაკეთდა სესაბამისი მიმართვები მუნიციპალიტეტის მერიისა და ესიდას სახელზე.

3.ტრატეგიული მიმართულება - მშობელთა ჩართულობა - სკოლამ სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ მიმართულებად მშობელთა ჩართულობა განსაზღვრა, რადგან სასკოლო საზოგადოებამ გაითავისა ბავშვის აღზრდის პროცესში მშობლის ჩართულობის მნიშვნელობა.სასწავლო წლის დასაწყისში სკოლამ აამოქმედა საკუთარი ვებ-გვერდი meria.school.ge, სადაც სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა სკოლაში მოქმედი რეგულაციები და სასწავლო კურიკულუმები, სკოლის ფეისბუკ გვერდზე მუდმივად ხდებოდა საინფორმაციო მასალების განთავსება. კლასის დამრიგებლების მიერ განხორციელდა სამუშაო შეხვედრები, სადაც მშობლებს გაეცნოთ სკოლის ფასეულობები, სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებები, სკოლის შინაგანაწესი. სამწუხაროდ, რადგან მშობლების დიდი ნაწილი გასულია ოჯახებიდან, პირისპირ შეხვედრა ყველასთან ვერ მოხერხდა. ამიტომ კლასის დამრიგებლები ინფორმაციას ავრცელებდნენ სოციალური ქსელის ჯგუფებში, სადაც მშობლებს აცნობდნენ სკოლის ელექტრონულ რესურსებს და მათზე განთავსებულ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჩატარდა სპორტული აქტივობები მშობელთა მონაწილეობით.

მიმართულება N4. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება:

სემესტრის განმავლობაში სისტემატიურად ტარდებოდა მონიტორინგი სასწავლო-სადამრიგებლო დარგებში. რისი მიზანიც იყო ერთის მხრივ პრობლემების აღმოჩენა და მათი მოგვარების გზებზე მსჯელობა და მეორეს მხრივ გამოცდილებისა და თანამედროვე მეთოდოლოგიის გაზიარება.

სკოლა მუდმივად ცდილობს მოსწავლეს შეუქმნას ჯანსაღი გარემო და სასწავლო პროცესი მორგებული იყოს თანამედროვე სწავლების მიდგომებზე და მეთოდებზე. ჩამოუყალიბოს მოსწავლეს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესი, შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად, სასწავლო-სადამრიგებლო მიდგომები და მეთოდები მორგებულია კლასის კონტიგენტის ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. თუმცა სკოლა ასევე ხელმძღვანელობს შიდა სასკოლო სტანდარტით, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა უნარებისა და ზოგადი ცოდნის გაუმჯობესებას თითოეულ საგანში.

სადამრიგებლო საქმიანობა სკოლის წარმატებულად მუშაობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია. დამრიგებელი რეგულარულად ატარებდა სადამრიგებლო საათს. სადამრიგებლო საათის მიზანია, მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და კრეატიული აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ჩატარებაში მას ეხმარება დამრიგებელი აღმზრდელი. სადამრიგებლო საათი არის კლასის აღმზრდელის მიერ ორგანიზებული საქმიანობა, რომლის მიზანია მოსწავლეთა პიროვნული

ზრდა,ღირებულებათა სისტემის, მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უვითარებს ლიბერალურ და დემოკრატულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. სადამრიგებლო საათი აღრმავებს ცოდნას ეთიკის, ფსიქოლოგიის,სამოქალაქო განათლების სფეროსა და სხვა საკითხშები, ეხმარება მოსწავლეებს ღირებულებათა იერარქიის ფორმირებაში. აღმზრდელი ეხმარება მოსწავლეებს პიროვნული, მორალური და სოციალური უნარების განვითარებაში. დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე იყენებდნენ ვერბალური ახსნის მეთოდს, დისკუსიას, შემთხვევის განხილვას, გასვლითი ღონისძიებას, პრეზენტაციას, როლური თამაშებს და ა.შ. დამრიგებლებლები ასევე სისტემატიურად ატარებენ კითხვის საათს, რომელიც ორიენტირებულია წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე, კითხვის ტექნიკის, ანალიზის, მსჯელობის, პრეზენტაბელურობის და სხვა უნარების განვითარებისათვის.

სემესტრის განმავლობაში სისტემატიურად ტარდებოდა სპორტის კათედრის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სახის ტურნირები და აქტივობები. კათედრის წევრების აქტიური მუშაობის შედეგად მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს: ჭადრაკის შიდა სასკოლო ტურნირში, მხიარულ სტარტებში, ლაშქრობებში, მასტერკლასებში, მუსიკალურ ღონისძიებებში, გამოფენებში.

დაწყებით კლასებში განხორციელდა ღონისძიება - „რა? სად? როდის?“, მხიარული ვიქტორინა და წახალისების მიზნით მოსწავლეებს გადაეცათ სამახსოვრო სერტიფიკატები.. ხელოვნების პედაგოგის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად იმართებოდა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. წლის განმავლობაში მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ საქველმოქმედო ღონისძიებებში. ჩატარდა აქტივობა სახელწოდებით - „ეზოს გამწვანება“, რომლის მიზანი იყო ზრუნვა სკოლის ეზოს გამწვანებაზე, დარგული მცენარეების მოვლა-პატრონობაზე. მოსწავლეებმა საკუთარი ხელით დარგეს მცენარეები.

2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლამ არაერთ აქტივობაში მიიღო მონაწილეობა ტექნიკურ საგნებშიც. კერძოდ: სკოლის ტექნოლოგიურმა კლუბებმა მონაწილეობა მიიღეს ჩხირკედელას პროექტებში, სტემ ფესტივალში.

სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს უზრუნველყო მშობლებთან საკომუნიკაციო არხების გამართვა მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი რესურსების მიწოდების, მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლების მხარდაჭერის მიზნით. მასწავლებლებმა, ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეებისთვის მოამზადეს და მიაწოდეს მათ შესაბამისი მასალები, როგორც საგნობრივ ჭრილში, ასევე გამჭოლი კომპეტენციების გასავითარებლად. მაგალითად: საკითხავი ლიტერატურა; შემეცნებითი აქტივობები; კვლევითი პროექტები; ონლაინ პლატფორმები/ელ. მასალები თემატური დავალებები და სხვა. გაიმართა საკომუნიკაციო ქსელები კლასების დამრიგებლებს, ცალკეულ მასწავლებლებსა და კათედრების ხელმძღვანელებს შორის. მშობლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებისთვის გამოყენებული იქნა ძირითადად სოციალური ქსელი.

სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, რომლებიც უზრუნველყოფილი იყვნენ საჭირო სასწავლო რესურსით;

თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციის შესაბამისად, შეიმუშავა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინტენსივობით ჩატარდა ისგ ჯგუფის სხდომები. აღნიშნულ სხდომებზე განიხილებოდა სსსმ მოსწავლის სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და მისი დაძლევის გზები. შპს მწვანე სკოლა დიდ დიღომში ინკლუზიური განათლების სფეროში ხელი ეწყობოდა სსსმ მოსწავლეების აკადემიური და კოგნიტური უნარ-ჩვევების წინსვლას როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე რესურს ოთახში სსსმ მოსწავლეების საჭიროების შესაბამისად. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე განიხილებოდა მოსწავლის მიერ გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები. კერძოდ, სხვადასხვა დარღვევების მქონე მოსწავლეებმა შეძლეს ყველა საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების დამაკმაყოფილებელ და წარმატებულ შედეგზე გასვლა. სხდომაზე თითოეული საგნის პედაგოგი მშობელს აწვდიდა დეტალურ ინფორმაციას მისი შვილის ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სასწავლო პერიოდის მანძილზე, სკოლა მუდმივად ზრუნავს პედაგოგების კვალიფიცირებაზე და მათ პროფესიულ ზრდაზე,შესაბამისად გუნდის მოტივაციაც მაღალია ცნობადობის ამაღლების მიზნით. სკოლის მხარდაჭერით პედაგოგების მოტივაცია მაღალია ცნობადობის ამაღლების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სკოლა აღჭურვილია საკმაო რაოდენობის ელექტრონული ტექნიკით, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს ტექნოლოგიების ფლობის საკითხი სკოლის პერსონალისთვის.